



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა	4
1. წლიური ანგარიშის შესახებ	6
1.1 2017 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგები	7
2. ხედვა და სტრატეგია	10
2.1 ახალი მენეჯმენტი და ხედვა	11
2.2 სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2022 წლებისთვის	12
2.2.1 დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება	13
2.2.2 აუდიტის ხარისხის თვისობრივი გაუმჯობესება	13
2.2.3 შიდა კონტროლის სისტემისა და ეთიკური გარემოს გაძლიერება	14
2.2.4 ადამიანური რესურსების მართვა	15
2.2.5 IT და ინფორმაციული უსაფრთხოება	17
3. აუდიტორული საქმიანობა	18
3.1 აუდიტორული საქმიანობა - მნიშვნელოვანი შედეგები	19
3.2 რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	20
3.3 კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებთან	25
4. ურთიერთობა ძირითად პარტნიორებთან	26
4.1 თანამშრომლობა პარლამენტთან	27
4.2 მოქალაქეთა ჩართულობა და ბიუჯეტის მონიტორი	27
4.3 საერთაშორისო თანამშრომლობა	29
4.4 ჩართულობა მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში	32
5. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა	34
6. ფინანსები	36
დანართი N1. ეფექტიანობის აუდიტის მაგალითები	39
დანართი N2. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მაგალითები	42
დანართი N3. სამართალდამცავ ორგანოებში 2017 წელს გადაგზავნილი ანგარიშების ჩამონათვალი	46
დანართი N4. სამართალდარღვევის ოქმები პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების წინააღმდეგ	46
დანართი N5. 2017 წელს ჩატარებული აუდიტების სია	47

შემაჯავებელი მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა საჯარო რესურსების ეფექტიანი მართვის საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის დიდი როლი ეკისრებათ უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებს. ისინი ხელს უწყობენ საპარლამენტო ზედამხედველობისა და მთავრობის საქმიანობის გაუმჯობესებას, საჯარო სექტორში არსებული სისტემური რისკების გამოვლენისა და გაცემული რეკომენდაციების მეშვეობით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაძლებლობებისა და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურმა შეიმუშავა და 2017 წლის დეკემბერში ფართო საზოგადოებას წარუდგინა 2018-2022 წლების განვითარების სტრატეგია. დოკუმენტში ყურადღება გამახვილდა სამსახურის წინაშე არსებულ ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებზე, როგორებიცაა, აუდიტის დაფარვის მაჩვენებლის გაზრდა, აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემის დახვეწა, ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) გაძლიერება, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება და ძირითად პარტნიორებთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება.

აუდიტორული საქმიანობით ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი და სექტორული დაფარვის მაჩვენებლის ზრდა სამსახურისთვის კვლავ გამოწვევად რჩება. 2017 წელს დაიფარა ნაერთი ბიუჯეტის 81%, ხოლო 2018 წელს დაგეგმილია აღნიშნული მაჩვენებლის 86%-მდე გაზრდა. ასევე 2022 წლამდე დაგეგმილია აღნიშნული დაფარვის მაჩვენებლის ეტაპობრივი გაუმჯობესება 90%-მდე.

დაფარვის მაჩვენებლის ფარგლებში 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, იზრდება ეფექტიანობის აუდიტის, როგორც რაოდენობა (9-დან 22-მდე), ასევე წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში (11%-დან 21%-მდე). ასევე იგეგმება ეფექტიანობის აუდიტით ყველა მაღალი რისკის შემცველი სფეროს დაფარვა მთავრობის დონეზე. 2018

წლის გეგმაში ასევე განისაზღვრა ორი ახალი ტიპის შესაბამისობის (ჰორიზონტალური) აუდიტი, რაც გულისხმობს საჯარო სექტორის მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზს სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის სამსახური 2018 წელს ჩაატარებს პირველ დამოუკიდებელ ეფექტიანობის აუდიტს და შედეგების დამოწმებას მსოფლიო ბანკის პროექტში - „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვა“ (SRAMP), რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს პირველად მომართეს საერთაშორისო დონორის მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტის ჩასატარებლად და ეს ფაქტი მიუთითებს სამსახურის მაღალპროფესიულ ავტორიტეტსა და მის მიმართ გამოხატულ ნდობაზე.

აუდიტორული საქმიანობის გაფართოებული მასშტაბი თავისთავად მოითხოვს შიდა კონტროლის უფრო მაღალ ხარისხს მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ეთიკური პროცედურების დაცვის კუთხით. ამასთან დაკავშირებით, სამსახური გეგმავს, განსაზღვროს ძირითადი პრიორიტეტული საკითხები და დანერგოს ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა, რომელიც შეძლებს უპასუხოს აუდიტორული საქმიანობის გაზრდილ მასშტაბებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია თანამშრომელთა უწყვეტი განვითარება და ტექნოლოგიური წინსვლა, რაც ადამიანური კაპიტალისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში ინვესტირებით იქნება შესაძლებელი.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოქალაქეთა როლი კარგი



მმართველობის ხელშეწყობაში. ქმედითი უკუკავშირის მექანიზმის ჩამოყალიბების მიზნით, სამსახურმა 2017 წლის ბოლოდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ძირითად პარტნიორებთან ეფექტური კომუნიკაციის მიმართულებით. გაუმჯობესდა აუდიტის ანგარიშების აღქმადობა, ჩამოყალიბდა მათი წარმოდგენის ერთგვაროვანი სტრუქტურა, განსაკუთრებით, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შემთხვევაში.

2018 წლიდან თვისობრივად გაუმჯობესდა პარლამენტთან თანამშრომლობა და აუდიტის ანგარიშების განხილვებმა რეგულარული, ყოველთვიური ხასიათი მიიღო. კერძოდ, 2017 წლისა და 2018 წლის მაისის მდგომარეობით, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული აუდიტის ანგარიშების განხილველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და ასევე პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტის ჩართულობით, სულ განხილულ იქნა 11 აუდიტის ანგარიში. ასევე გააქტიურდა თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან. შემდგომი რეაგირებისთვის 2017 წელს გაიგზავნა 11, ხოლო 2018 წლის პირველ კვარტალში - 24 აუდიტის შესაბამისი მასალები. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ ყველა ანგარიშთან დაკავშირებით დაიწყეს საგამოძიებო პროცედურები.

გამოწვევად რჩება რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი. 2015-2017 წლებში გაცემული 1,475 რეკომენდაციიდან შესრულდა მხოლოდ 43%, მიმდინარეობს 33%-ის შესრულება, არ შესრულებულა - 12%, ხოლო რეაგირების გარეშე დარჩა რეკომენდაციების 12%. აღსანიშნავია, რომ მაღალი ზეგავლენის მქონე, სისტემური 288 რეკომენდაციიდან, მხოლოდ 25% შესრულდა. რეკომენდაციების შესრულების გაუმჯობესების მიზნით, სამსახური გეგმავს პარლამენტთან და მთავრობასთან აქტიური კონსულტაციების გამართვას, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემის განახლებასა და დანერგვას.

ინფორმაციული ტექნოლოგიები და ინფორმაციული უსაფრთხოება უმთავრეს როლს ასრულებს თანამედროვე უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის საქმიანობაში. ამასთანავე, კიბერსაფრთხეების გაძლიერების ფონზე გაიზარდა ინფორმაციის დაცულობის მნიშვნელობა. შესაბამისად, ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება და ანალიტიკური შესაძლებლობების ამაღლება გამოწვევად რჩება, რომელსაც სამსახური 2017 წლის ბოლოდან უსაფრთხოების სისტემების დანერგვით აქტიურად ახორციელებს და 2018-2022 წლების განვითარების სტრატეგიის ფარგლებში უპასუხებს.

1

სლიური ანგარიშის შესახებ



„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავის, 31-ე მუხლისა და მე-3 პუნქტის მიხედვით, აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს გასული წლის საქმიანობის შედეგების შესახებ. ანგარიში საჯაროდ ქვეყნდება ოფიციალურ ვებგვერდზე¹. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია აუდიტის სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგები.

1.1 2017 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგები

კმალი სტრატეგია და სპეკტი

► 2017 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა ახალი გენერალური აუდიტორი დაამტკიცა. 2017 წლის დეკემბერში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ფართო საზოგადოებას წარუდგინა „2018-2022 წლების განვითარების ხედვა და სტრატეგია“;

► აუდიტის სამსახურის განვითარების სტრატეგია მოიცავს შემდეგ 5 პრიორიტეტულ მიმართულებას: 1. დამოუკიდებლობა და მანდატის გაძლიერება. 2. მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება. 3. ძირითადი პარტნიორების ჩართულობის გაძლიერება. 4. მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლება. 5. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.

აუდიტორული საქმიანობის შედეგები

► 2017 წელს სამსახურის მიერ ჩატარებულმა აუდიტებმა მოიცვა 9.46 მლრდ ლარი, რამაც ნაერთი ბიუჯეტის 81% შეადგინა. 2017 წელს სამსახურმა ჩაატარა 84 აუდიტი, მათ შორის, 32 - ფინანსური, 24 - შესაბამისობის, 19 - ფინანსური და შესაბამისობის და 9 - ეფექტიანობის აუდიტი;

► სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის აუდიტორული გეგმა განისაზღვრა 106 აუდიტით, რომლითაც ჯამურად დაიფარება 11.1 მლრდ ლარი, ანუ ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 86%. 2017 წელთან შედარებით, 22 ერთეულით (26%) იზრდება აუდიტების რაოდენობა, ხოლო 5%-ით იზრდება ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი. სულ დაგეგმილია 25 ფინანსური, 59 შესაბამისობის და 22 ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება;

► 2017 წელთან შედარებით, იზრდება ეფექტიანობის აუდიტის, როგორც რაოდენობა (9-დან 22-მდე), ასევე წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში (11%-დან 21%-მდე). ასევე აღსანიშნავია, რომ ეფექტიანობის აუდიტებით იფარება თითქმის ყველა სექტორი (10 -დან 8 სექტორი), რომელიც განსაზღვრულია საჯარო ფინანსების ფუნქციონალური კლასიფიკაციის (COFOG) მიხედვით;

► 2018 წლის გეგმის ფორმირებისას, გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის ექსპერტების მიერ SAI-PMF-ის² შეფასების მიხედვით მიღებული რეკომენდაციები. შედეგად: 2018 წლის გეგმაში განისაზღვრა 2 (ჰორიზონტალური) შესაბამისობის აუდიტი, სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების მიმართულებით; ჰორიზონტალური შესაბამისობის აუდიტების ჩატარება სამსახურის აუდიტორული საქმიანობის ახალი მიმართულებაა, რაც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენას;

¹ www.sao.ge

² უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საქმიანობის შეფასების ჩარჩო, რომლის მიხედვითაც სას-ის საქმიანობა შეფასდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებთან (ISSAIs) მიმართებით.

► აღსანიშნავია, რომ წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირებისას ასევე გათვალისწინებულ იქნა მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მომართვები. 2017 წელს მიღებული 29 მომართვიდან 55% გათვალისწინებულ იქნა აუდიტორულ საქმიანობაში: 9 მომართვა - 2017 წელს, ხოლო 7 მომართვა - 2018 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში;

► 2017 წლის ბოლოს და 2018 წლის დასაწყისში განხორციელდა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის არსებული სისტემის შეფასება და მომზადდა ბოლო 3 წლის განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების ანალიზი. მიმდინარეობს რეკომენდაციების შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგის სახელმძღვანელოს განახლება და ახალი მონიტორინგის პროგრამის შექმნა;

► 2015-2017 წლებში, სულ გაიცა 1,475 რეკომენდაცია, რომელთაგან შესრულდა მხოლოდ 43%, მიმდინარეობს 33%-ის შესრულება, არ შესრულებულა - 12%, ხოლო რეაგირების გარეშე დარჩენილია - 12%. აღსანიშნავია, რომ მაღალი ზეგავლენის მქონე, სისტემური ხასიათის 288 რეკომენდაციიდან, მხოლოდ 25% შესრულდა. იგეგმება პარლამენტთან და მთავრობასთან კონსულტაციების გამართვა სისტემურ საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების გაუმჯობესების მიზნით;

► სამართალდამცავ ორგანოებში შემდგომი რეაგირებისთვის 2017 წელს გაიგზავნა 11, ხოლო 2018 წლის პირველ კვარტალში - 24 აუდიტის შესაბამისი მასალები. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ ყველა ანგარიშთან დაკავშირებით დაინყეს საგამოძიებო პროცედურები.

ურთიერთობა ძირითად პარტნიორებთან

► საქართველოს პარლამენტი აუდიტის სამსახურის ძირითადი დაინტერესებული მხარე და აუდიტის დასკვნებისა და რეკომენდაციების ძირითადი მომხმარებელია. 2017 წლისა და 2018 წლის მაისის მდგომარეობით, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული აუდიტის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში,

ასევე პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტის ჩართულობით, სულ განხილულ იქნა 11 აუდიტის ანგარიში. აღნიშნული პრაქტიკა 2018 წლის მეორე ნახევარშიც გაგრძელდება და იგეგმება ყოველთვიური განხილვები;

► პარლამენტისა და აუდიტის სამსახურის თანამშრომლები გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ გერმანიის ბუნდესტაგსა და უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციას, აგრეთვე გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი GIZ-ს, პარლამენტს, აუდიტის სამსახურსა და ფინანსთა სამინისტროს შორის;

► აუდიტის სამსახურმა შეასრულა საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და 2017 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაკისრებული ყველა ვალდებულება. სამსახურმა ასევე შეასრულა საჯარო ფინანსების მართვის (PMF) რეფორმის ფარგლებში განსაზღვრული ყველა ვალდებულება;

► ევროკავშირის „საჯარო ფინანსების რეფორმის პოლიტიკის მხარდაჭერის პროექტის“ (PFPR) და „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში, სამსახურმა წარმატებით შეასრულა პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

► სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელებაში, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში;

► 2017 წელს შექმნილმა ბიუჯეტის მონიტორმა მოიპოვა 3 საერთაშორისო ჯილდო და გამოცემლობა Guardian-ის დადებითი შეფასება;

► სამსახურმა მოქალაქეთა ჩართულობის ინსტრუმენტის - ბიუჯეტის მონიტორისა და მნიშვნელოვანი აუდიტის შედეგების გასაცნობად, მუნიციპალიტეტებთან გამართა 6 საჯარო შეხვედრა;

► 2017 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“;



► მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განვითარების პროექტი;

► სამსახურის თანამშრომლებმა წვლილი შეიტანეს 29 საერთაშორისო მნიშვნელობის სამუშაო შეხვედრასა თუ ტრენინგში.

კლასიკური რესურსების მართვა

► 2017 წელს შეიქმნა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა შეფასების სისტემა და 2017 წლის დეკემბერში ჩატარდა 305 თანამშრომლის შეფასება. შეფასების შედეგად განხორციელდა საკადრო ცვლილებები და დანიშნურა 16 თანამშრომელი;

► 2017 წელს ჩატარდა 63 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც სამსახურის თანამშრომლები, ასევე გარე დაინტერესებული პირები. ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტორებმა მოიპოვეს სხვადასხვა საერთაშორისო სერტიფიკატი;

► 2018 წელს იგეგმება არაერთი ახალი პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა, კერძოდ: ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმა, როტაციისა და მობილობის გეგმა, სტაჟირების პროცედურები და წესი და სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მონაწილეობით ტრენინგების კატალოგის შედგენა.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გეგმირვა, კონტროლი და ანგარიშგება

► 2017 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისა და წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი, რომელმაც მოიცვა 1 ივნისიდან 19 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი. არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობდა 22 პოლიტიკური პარტია, 5 საარჩევნო ბლოკი და 199 საინიციატივო ჯგუფი, ხოლო მეორე ტურში (6 ოქტომბერი) - 2 პოლიტიკური პარტია, 2 საარჩევნო ბლოკი და 2 დამოუკიდებელი კანდიდატი;

► წინასაარჩევნო პერიოდში ყოველდღიურად იმართებოდა ინდივიდუალური შეხვედრები და სატელეფონო კონსულტაციები საარჩევნო სუბიექტებთან, სადაც განიხილებოდა ნებისმიერი ფინანსური თუ პროცედურული საკითხები. პოლიტიკური ფინანსების მეტი გამჭვირვალობის მიზნით, სრული საარჩევნო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ფუნქციონირებდა სამსახურის ცხელი ხაზი, რომელზეც შესულია 600-მდე შეკითხვა;

► მონიტორინგის შედეგად, სამსახურმა სულ გამოითხოვა 11 სხვადასხვა პერიოდის ანგარიში. შედეგად, ყველა სუბიექტის მიერ ჯამში წარმოდგენილია 1,500-მდე დოკუმენტი (30,000 გვერდამდე მოცულობის ინფორმაცია);

► სამსახურის ინიციატივით მოსამზადებელ პერიოდში ჩატარდა 3 სამუშაო შეხვედრა საარჩევნო საკითხებით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, ხოლო 25 აგვისტოდან სამსახურის მოწვევით, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შეიქმნა საინფორმაციო/საკონსულტაციო კომისია, რომლის ფარგლებშიც 15 წევრისა და 3 დამკვირვებელი ორგანიზაციის მონაწილეობით გაიმართა 4 შეხვედრა;

► პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების წინააღმდეგ დეპარტამენტმა სულ შეადგინა 141 სამართალდარღვევის ოქმი, ასევე ფულადი სანქციები - 11,100 ლარის ოდენობით, დაეკისრა პარტიებსა, საარჩევნო სუბიექტებსა და შემომწირველ იურიდიულ პირებს;

► 2017 წლის ივლისში ჩატარდა მეორე რეგიონული კონფერენცია „ფული პოლიტიკაში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა;

► დეპარტამენტმა დაიწყო მზადება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგისთვის, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია თანამშრომლობის გაღრმავება არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ხედავთ თუ სტრუქტურაში

2.1 ახალი მენეჯმენტი და ხელვა

2017 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა ახალი გენერალური აუდიტორი დაამტკიცა. განახლებული შემადგენლობის მმართველობითმა რგოლმა 2017 წლის დეკემბერს წარადგინა აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების განვითარების სტრატეგია.

სტრატეგია პასუხობს აუდიტის სამსახურის წინაშე არსებულ ყველა ძირითად გამოწვევას. სტრატეგიის განხორციელებით სამსახური მიზნად ისახავს არსებული სისუსტეების დაძლევას და ძლიერი მხარეების უფრო მეტად განვითარებას.

მისია

დამოუკიდებელი და მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით შევქმნათ ღირებულება და სარგებელი საზოგადოებისთვის, პარლამენტისა და მთავრობისთვის



ერეკლე მეფეაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

ჩვენი საქმიანობა იქნება დაფუძნებული
4 ძირითად ღირებულებაზე:

პროფესიონალიზმი

ობიექტურობა

დამოუკიდებლობა

საჯაროობა

“მნიშვნელოვანია აუდიტის ხარისხისა და ანალიტიკური საქმიანობის კიდევ უფრო გაძლიერება“

„ვგეგმავთ აუდიტის რეკომენდაციების შესრულების ეფექტური მონიტორინგის მექანიზმის დანერგვას“

„ჩვენი პრიორიტეტია, ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის პრინციპების განმტკიცება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე“

2.2 სტრატეგიული გენეოთარების გეგმა 2018-2022 წლებისთვის

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების სტრატეგიული გეგმა ასახავს სამსახურის მისიას, ხედვას და მის ძირითად ღირებულებებს. იგი ეყრდნობა ხუთ სტრატეგიულ მიზანს.

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: დაინტერესებული მხარეების მოლოდინები, უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩოს (SAI-PMF)³ შეფასების შედეგები და ევროკავშირი-საქართველოს ეკონომიკური მმართველობისა და ანგარიშვალდებულების (EGA) პროგრამის პოლიტიკის ღონისძიებები.

ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება გაგრძელდება ცვალებადი აუდიტორული გარემოს მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორის, აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებას აუდიტის მართვის სისტემის (AMS) დანერგვითა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების მეშვეობით. ამასთანავე, იგეგმება შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდება რისკების დროული გამოვლენა და მათი შემცირების სტრატეგიების დასახვა.

ადამიანური რესურსების მართვის სწორი პოლიტიკა დღის წესრიგის სათავეშია. ამ მიზნით შემუშავდება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმები; წახალისდება და სხვადასხვა პოლიტიკის მეშვეობით ხელი შეწყობა პროფესიული გარემოს ჩამოყალიბებას;

სტრატეგიული მიზნები 2018-2022 წლებისთვის

დამოუკიდებლობისა
და მანდატის
გაძლიერება

ძირითადი
პარტნიორების
ჩართულობის
გაძლიერება

თანამშრომელთა
პროფესიული
განვითარება

მაღალხარისხიანი
აუდიტორული საქ-
მიანობის შედეგად
საჯარო ფინანსების
მართვის თვისობ-
რივი გაუმჯობესება

მმართველობის
სისტემის
გაძლიერებით
ეფექტურობის
ამაღლება

³ უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების ჩარჩო, რომლის მიხედვით, სამსახურის საქმიანობა შეფასდა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებთან (ISSAIs) მიმართებით.



იგეგმება აუდიტორთა ქცევის კოდექსის შემუშავება და ეთიკური გარემოს გაძლიერება უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

სტრატეგიის ფარგლებში გაგრძელდება ძირითად პარტნიორებთან და დონორებთან მჭიდრო თანამშრომლობა სამსახურის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. ყველა დაინტერესებული მხარისთვის აუდიტის ანგარიშების აღქმადობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა და ასევე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაღალი მაჩვენებლის მიღწევა, სამსახურის მანდატის შესრულების უმთავრესი საფუძვლებია.

სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივ გაუმჯობესებასა და მათ ინტეგრირებას აუდიტის პროცესში. ინფორმაციული უსაფრთხოების მკაფიოდ განსაზღვრული წესები და პოლიტიკა აუცილებელია ინფორმაციის, მონაცემების, სისტემებისა და ქსელების ეფექტიანი დაცვისთვის. კიბერთავდასხმებისა და შემოჭრის საფრთხის შემცირების მიზნით, სამსახური გეგმავს შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების პროცედურები და შექმნას IT მხარდაჭერისა და უსაფრთხოების ცალკეული სტრუქტურული ერთეული. ამ მხრივ, IT აუდიტის აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს IT კონტროლების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც შეძლებს უპასუხოს IT გარემოს მნიშვნელოვან გამოწვევებს და საშუალებას მისცემს სამსახურს, გახდეს სანიმუშო ორგანიზაცია სხვა საჯარო დაწესებულებებისთვის.

2.2.1 დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება

აუდიტის სამსახურის სამართლებრივმა ჩარჩომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მხრივ. სამსახურის მიერ მომზადებული წინადადებების საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წლის 2 ნოემბერს შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონი იძენს „ორგანული კანონის“ სტატუსს და სამსახურს ენიჭება საქარ-

თა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის უფლება.

ამასთანავე, პარლამენტისა და აუდიტის სამსახურის ერთობლივი ძალისხმევით შედეგად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი არ გავრცელდება სამსახურის აუდიტორებსა და ანალიტიკოსებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობას ადამიანური რესურსების მართვის, დასაქმებისა და სამუშაო პირობების განსაზღვრის მხრივ.

აუდიტის სამსახური განაგრძობს აქტიურ კონსულტაციებს საქართველოს პარლამენტთან და მთავრობასთან დამოუკიდებლობისა და აუდიტორული მანდატის შემდგომი გაძლიერების მიზნით.

2.2.2 აუდიტის ხარისხის თვისობრივი გაუმჯობესება

მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობა დაფუძნებულია ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიურ ჩარჩოზე, ისევე როგორც ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის ძლიერ სისტემებზე. აუდიტის ხარისხის გაზრდის მიზნით, სამსახური გეგმავს განახლოს და საერთაშორისო სტანდარტებს დაუახლოვოს აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზა და შექმნას ხარისხის კონტროლის და უზრუნველყოფის განახლებული სისტემა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, განვითარდება სამსახურის შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს მის მზაობას, 2020 წლისათვის განახორციელოს მთავრობის დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი.

ამასთანავე, აუდიტორების კვლევითი და ანალიტიკური უნარ-ჩვევების კიდევ უფრო გაძლიერება მნიშვნელოვნად განაპირობებს ეფექტიანობის აუდიტის ხარისხსაც. აუდიტის სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს თანამშრომელთა შესაძლებლობების შემდგომ განვითარებასა და ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაზე.

აუდიტორული საქმიანობის შედეგად სარგებლისა და მნიშვნელობის გაზრდა

მომდევნო 5 წლის მანძილზე, სამსახურის ამოცანაა აუდიტორული საქმიანობით სახელმწიფო ბიუჯეტის დაფარვა 90%-მდე გაზარდოს. აღნიშნული ამოცანის წარმატებით განხორციელების წინაპირობებია - აუდიტორული და ანალიტიკური შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება, აუდიტის მართვის სისტემით (AMS) რესურსების მართვის და აუდიტის დაგეგმვის მთლიანი პროცესის გაუმჯობესება.

AMS-ის სრული ამოქმედება 2018-2019 წლებში იგეგმება. მიმდინარე აუდიტის პროცესების ჩანაცვლება მომავალი რამდენიმე წლის მანძილზე ეტაპობრივად განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს უკვე განხორციელდა რამდენიმე საპილოტე აუდიტი AMS-ის გამოყენებით.

სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია თემატური შესაბამისობის აუდიტის პრაქტიკის დანერგვა და განვითარება, რაც მიზნად ისახავს საჯარო ფინანსების მართვაში არსებული სისტემური საკითხების იდენტიფიცირებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია აუდიტორული საქმიანობის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგის სისტემის დანერგვა. აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული მაღალი ზეგავლენის მქონე რეკომენდაციების შესრულების დაბალი მაჩვენებელი კვლავ ძირითად გამოწვევად რჩება. სწორედ ამის საპასუხოდ, სამსახური გეგმავს:

- ▶ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის არსებული სისტემის გადახედვას;
- ▶ რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობაზე აუდიტების ჩატარებას;
- ▶ ძირითადი პარტნიორების ცნობიერების ამაღლებას გაცემული რეკომენდაციების პოტენციური სარგებლისა და მნიშვნელობის შესახებ.

რაც შეეხება აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფას, ამ მიმართულებით სამსახურის პრიორიტეტებია:

▶ კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და პროცედურების განახლება და დანერგვა;

▶ ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებით შემოწმებული აუდიტების რაოდენობის გაზრდა.

2.2.3 შიდა კონტროლის სისტემისა და ეთიკური გარემოს გაძლიერება

მომდევნო წლების განმავლობაში სამსახურის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას აუდიტორული საქმიანობის გაფართოებული მასშტაბი წარმოადგენს, რომელიც თავისთავად მოითხოვს შიდა კონტროლის უფრო მაღალ სტანდარტს - ხარისხის უზრუნველყოფისა და ეთიკური გარემოს დაცვის კუთხით.

შიდა კონტროლის გამართული სისტემის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის წარმატებისა და ეფექტიანი საქმიანობისთვის. ასეთი სისტემის დანერგვა და ეფექტური ფუნქციონირება ემსახურება უწყების სტრუქტურული ერთეულების ანგარიშვალდებულების გაზრდას, პოტენციური რისკების ადრეულ გამოვლენასა და რისკების რეესტრის გამოყენებას. შესაბამისად, იგეგმება აუდიტორის ქცევის კოდექსის შემუშავება და ეთიკის კოდექსის განახლება. გარდა ამისა, საჭიროა ინტერესთა კონფლიქტის შეტყობინების და სხვა შიდა კონტროლის პოლიტიკების დანერგვა.

აღნიშნული სისტემები საშუალებას მისცემს სამსახურის ხელმძღვანელობას, რეგულარულად შეაფასოს საქმიანობის ეკონომიურობა, ეფექტიანობა და ეფექტურობა წინასწარ განსაზღვრული მიზნებისა და ძირითადი ინდიკატორების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ეთიკის მაღალი სტანდარტების დამკვიდრების მიზნით, სამსახურმა 2018 წლის დასაწყისში განახორციელა კეთილსინდისიერების გარემოს თვითშეფასება უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI - Self Assessment Integrity, INTOSAINT) მეთოდოლოგიითა და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. INTOSAINT წარმო-



მიღწეული შედეგები



ადგენს თვითშეფასების ინსტრუმენტს, რომელიც უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებს კეთილსინდისიერების პოლიტიკის მექანიზმების დანერგვასა და განვითარებაში ეხმარება. სამსახურის თანამშრომლები გაეცნენ კეთილსინდისიერების გარემოს თვითშეფასების მეთოდოლოგიას და ჩაერთვნენ შეფასების განხორციელების პროცესში.

2.2.4 ადამიანური რესურსების მართვა

აუდიტის სამსახურის მისიისა და ხედვის რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა. ამასთან დაკავშირებით იგეგმება ადამიანური რესურსების მართვის თვისობრივად ახალ, დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთგანვითარებაზე დაფუძნებულ სისტემაზე გადასვლა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა შეფასების მექანიზმი და 2017 წლის დეკემბერში ჩატარდა სამსახურის თანამშრომელთა შეფასება. შეფასების შედეგების მიხედვით გამოვლინდა თანამშრომლების როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები და პროფესიული განვითარების საჭიროებები.

305

შეფასებული თანამშრომელი

16


დანინაურებული თანამშრომელი

2018 წელს, სამსახური თანამშრომელთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, გეგმავს:

- ▶ ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმების შედგენას;
- ▶ როტაციისა და მობილობის გეგმების შემუშავებას;
- ▶ სტაჟირების პროცედურებისა და წესის შემუშავებას;
- ▶ სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დახმარებით ტრენინგების კატალოგის შედგენას.

ასევე გაგრძელდება სამსახურის თანამშრომლების სხვადასხვა დონორების მიერ ორგანიზებულ და დაფინანსებულ საერთაშორისო ტრენინგებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა.

დიაგრამა 1: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა მიმართულებების მიხედვით



დიაგრამა 2: საერთაშორისო ღონისძიებების, კონფერენციებისა და მემორანდუმების რაოდენობა




2017 წელს აუდიტის სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობამ 347 თანამშრომელი (პროფესიული საჭარო მოხელეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები) შეადგინა. ორგანიზაციის თანამშრომელთა 73%-ს შეადგენს პროფესიული შტატი, როგორებიც არიან: აუდიტორები, ექსპერტები და ანალიტიკოსები, ხოლო 27%-ს შეადგენს დამხმარე პერსონალი.


დიაგრამა 3: გენდერული განაწილება (%)



დიაგრამა 4: პროფესიული და დამხმარე შტატის თანაფარდობა (%)



დიაგრამა 5: ასაკობრივი განაწილება (%)




2.2.5 IT და ინფორმაციული უსაფრთხოება

ინფორმაციული უსაფრთხოების მკაფიოდ განსაზღვრული წესები და პოლიტიკა აუცილებელია ინფორმაციის, მონაცემების, სისტემებისა და ქსელების ეფექტური დაცვისთვის. აქედან გამომდინარე, სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) მუდმივ გაუმჯობესებასა და მათ ინტეგრირებას აუდიტის პროცესში.

სამსახური აცნობიერებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და მათ განკარგვას.

შედეგად, აუდიტის სამსახურმა დაიწყო აქტიური მუშაობა ინფორმაციული უსაფრთხოების უკეთესი პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით, კერძოდ, მიმდინარეობს:



- ▶ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (ISMS) დანერგვა საერთაშორისოდ აღიარებული ISO 27001 სტანდარტის შესაბამისად;
- ▶ შესაბამისი პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება;
- ▶ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება;
- ▶ სამსახურის ინფორმაციული აქტივების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განახლება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესება

ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, 2017 წლის ბოლოს განხორციელდა IT უსაფრთხოების კომპლექსური სისტემების შესყიდვა, კერძოდ:

- ▶ გარე პერიმეტრისათვის - ქსელური უსაფრთხოების დაცვის სისტემა (Next Generation Firewalls);
- ▶ შიდა პერიმეტრისათვის - ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტებისა და მოვლენების მართვის სისტემა (SIEM);
- ▶ საბოლოო მომხმარებლებისთვის:
 - ა) დაცვის სისტემა (Endpoint Protection), რომელიც მოიცავს საფრთხეების პრევენციის მოდულს (Threat Prevention), ქსელური უსაფრთხოების მოდულს (Firewall), ვებკონტროლის მოდულს (Web Control), ადაპტირებადი საფრთხეების პრევენციის მოდულს (Adaptive Threat Prevention);
 - ბ) შიფრაციის სისტემა (Endpoint Encryption), რომელიც მოიცავს ფაილების, საქაღალდეების, მყარი დისკებისა და მედიამატარებლების შიფრაციის მოდულს.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული სისტემების შესყიდვა განხორციელდა პირველად და მიმდინარეობს მათი დანერგვა. აღნიშნულმა პროგრამებმა სამსახურის IT უსაფრთხოება აიყვანა თვისობრივად ახალ დონეზე.

ტექნიკური ბაზის მოწყობა

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განვითარების პროექტი, რომლის ფარგლებში, სამსახურმა შეისყიდა მოწყვლადობის შეფასებისა და შეღწევა-დობის ტესტირების პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი და მათთან დაკავშირებული ტრენინგები IT აუდიტორებისთვის. კერძოდ, აუდიტის სამსახურმა შეისყიდა მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი უსაფრთხოების ლაბორატორიის, RAPID7-ის პროგრამული უზრუნველყოფები - NEXPOSE და METASPLOIT PRO.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სისტემები გამიზნულია როგორც აუდიტის ობიექტების სისტემის ტესტირებისათვის, ასევე სამსახურის ინფორმაციული სისტემის სკანირებისა და უსაფრთხოების სისტემების შეფასებისათვის.

IT აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლება

გასულ წელს ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს არაერთი ტრენინგკურსი და წარმატებით ჩააბარეს საერთაშორისო სასერტიფიკაციო გამოცდები, კერძოდ:

- ▶ IT აუდიტორებმა გაიარეს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის აუდიტის სასწავლო ცენტრის (U.S. Government Accountability Office – Center For Audit Excellence) - ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის მიმართულებით ტრენინგი;
- ▶ IT აუდიტორებს მოპოვებული აქვთ სერტიფიკატები ITIL V3 Foundation, ინფორმაციული სისტემების აუდიტორის (ISACA - Certified Information Systems Auditor), ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების პროფესიონალისა (CISSP – Certified Information Systems Security Professional) და კიბერუსაფრთხოების შეფასებისა და შეღწევა-დობის ტესტირების პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით.

3

აუდიტორული საქმიანობა




3.1 აუდიტორული საქმიანობა - მნიშვნელოვანი შედეგები

2017 წელს აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 84 აუდიტი, რამაც სულ დაფარა 9.46 მლრდ ლარი, ანუ ნაერთი ბიუჯეტის 81%.


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის აუდიტორული გეგმით განსაზღვრულია 106 აუდიტი, რომლითაც ჯამურად დაიფარება 11.1 მლრდ ლარი, ანუ ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 86%. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელთან შედარებით მცირდება ფინანსური აუდიტების რაოდენობა, იზრდება ფინანსური აუდიტებით თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი. რაოდენობის შემცირება გამოწვეულია მთავრობის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებებით (სამინისტროების გაერთიანებით). უფრო კონკრეტულად, იგეგმება:

- ▶ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებლის გაზრდა 5%-ით;
- ▶ აუდიტების რაოდენობის გაზრდა 26%-ით;
- ▶ ეფექტიანობის აუდიტების წილის გაზრდა აუდიტორულ გეგმაში (11%-დან 21%-მდე)

დიაგრამა 6: თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი წლების მიხედვით (მილიონი ლარი)



დიაგრამა 7: აუდიტების რაოდენობა ტიპებისა და წლების მიხედვით



ფინანსური აუდიტი

სამსახური გასცემს დასკვნას აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეზე, სისრულესა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- 2017 წელს ჩატარდა 32 აუდიტი
- 2018 წელს დაგეგმილია 25 აუდიტი, წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში - 24%.



შესაბამისობის აუდიტი

სამსახური ადგენს აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესაბამისობას კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელმწიფოებრივ მოთხოვნებთან და ორგანიზაციულ პოლიტიკასთან მიმართებაში.

- 2017 წელს ჩატარდა 24 აუდიტი
- 2018 წელს დაგეგმილია 59 აუდიტი, წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში - 56%.



ეფექტიანობის აუდიტი

სამსახური აფასებს კონკრეტული მიმართულებებით განხორციელებული ღონისძიებებით მიღწეულ შედეგებს და ამ პროცესში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეკონომიურობას, ეფექტიანობასა და პროდუქტიულობას.


- 2017 წელს ჩატარდა 9 აუდიტი
- 2018 წელს დაგეგმილია 22 აუდიტი, წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში - 21%.

ეფექტიანობის აუდიტის შედეგები

აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ეყრდნობა, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას, და მეორე მხრივ, რისკებზე დაფუძნებული მიდგომის კრიტერიუმებს. აღნიშნული მიმართულებით, განსაკუთრებით საინტერესოა ეფექტიანობის აუდიტები, რადგან მათი მეშვეობით შესაძლებელია ისეთი სფეროების დაფარვა, რომლებიც მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენენ.

ეფექტიანობის აუდიტი სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და მომავალშიც დაგეგმილია ეფექტიანობის აუდიტის წილის გაზრდა მთლიან აუდიტორულ გეგმაში. 2017 წელს ჩატარდა 9 ეფექტიანობის აუდიტი შემდეგი სფეროების მიხედვით:


დიაგრამა 8: 2017 წელს ჩატარებული აუდიტები სფეროების მიხედვით (%)



- განდაცვა და შრომითი უფლებები
- თავდაცვა/უსაფრთხოება
- განათლება
- გარემოს დაცვა
- საჯარო ფინანსების მართვა
- სოფლის მეურნეობა

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს დაგეგმილია ეფექტიანობის აუდიტებით სექტორების დაფარვის მაჩვენებლის გაუმჯობესება. დაიფარება თითქმის ყველა სექტორი (10-დან - 8 სექტორი), რომელიც განსაზღვრულია საჯარო ფინანსების ფუნქციონალური კლასიფიკაციის (COFOG) მიხედვით:

დიაგრამა 9: 2018 წელს დაგეგმილი აუდიტები სფეროების მიხედვით (%)



- თავდაცვა/უსაფრთხოება
- ადგილობრივი თვითმმართველობები
- შრომა, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა
- საჯარო ფინანსების მართვა
- ეკონომიკა
- სოფლის მეურნეობა
- განათლება
- ინფრასტრუქტურა

3.2 რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა


აუდიტის სამსახურის უმთავრესი ფუნქცია გამოიხატება საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასა და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნაში. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად მნიშვნელოვანია როგორც ქმედითი რეკომენდაციების შემუშავება, ასევე რეკომენდაციების ეფექტური შესრულება. შესაბამისად, აუდიტის სამსახური ორიენტირებულია, ერთი მხრივ, შიდა პროცესების გაუმჯობესებით ხარისხიანი რეკომენდაციების მომზადებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, პარლამენტთან და უწყებებთან ეფექტური კომუნიკაციითა და თანამშრომლობით, რეკომენდაციების დროულ შესრულებაზე.

2017 წელს განხორციელებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებულია გაცემული რეკომენდაციების მხოლოდ 43%. რეკომენდაციების შესრულების სტატუსები დეტალურად წარმოდგენილია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 10).

მაღალი და დაბალი ზეგავლენის რეკომენდაციები

გაცემული რეკომენდაციები იყოფა 2 კატეგორიად: მაღალი ზეგავლენის და დაბალი ზეგავლენის რეკომენდაციები.


დიაგრამა 10: რეკომენდაციები სტატუსის მიხედვით (%)



საკუთრებულ ძალისხმევას და ძირითადად უკავშირდება ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული გრაფიკის (იხ. დიაგრამა 11) მიხედვით, გაცილებით მაღალია დაბალი ზეგავლენის რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი მაღალი ზეგავლენის რეკომენდაციებთან შედარებით. აღნიშნული შესაძლებელია გამოწვეული იყოს მაღალი ზეგავლენის რეკომენდაციების სირთულითა და კომპლექსურობით.

დიაგრამა 11: რეკომენდაციების შესრულება ზეგავლენის მიხედვით



მაღალი ზეგავლენის რეკომენდაციები გაცემულია ისეთი მნიშვნელოვანი დარღვევების გამოსასწორებლად, რომელთა შედეგად შესაძლებელია:


- ▶ დიდი მოცულობის საბიუჯეტო რესურსების დაზოგვა;
- ▶ პარლამენტის ხელშეწყობა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაში;
- ▶ სახელმწიფო პროგრამების მართვის გაუმჯობესება.

შედარებით დაბალი ზეგავლენის რეკომენდაციები კი გაცემულია ისეთი ტიპის დარღვევებზე, რომელთა შესრულებას არ აქვს მაღალი ფინანსური შედეგი და მათი შესრულება არ მოითხოვს გან-


შესრულებული რეკომენდაციების წილი მკვეთრად ეცემა ზეგავლენის ზრდასთან ერთად - დაბალი ზეგავლენა 47%, მაღალი ზეგავლენა 25%.

აღსანიშნავია, რომ მაღალი ზეგავლენის რეკომენდაციების დიდი ნაწილი გაცემულია ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში. აუდიტის ტიპების მიხედვით, რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ნაჩვენებია დიაგრამაზე (დიაგრამა 12):


დიაგრამა 12. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა აუდიტის ტიპების მიხედვით (%)



შესაბამისობის აუდიტი



ეფექტიანობის აუდიტი




■ შესრულდა ■ მიმდინარე
■ არ შესრულდა ■ რეაგირების გარეშე

სისტემურ ხარვეზებზე გაცემული რეკომენდაციები

ბოლო 3 წლის განმავლობაში რეკომენდაციები უმეტესწილად გაცემულია შემდეგი 4 მიმართულებით:

დიაგრამა 13. შედეგების განაწილება (%)




■ აღრიცხვა-ანგარიშგება
■ საბიუჯეტო რესურსების მართვა
■ აქტივების მართვა
■ შესყიდვების მართვა

შესყიდვების მართვა

სახელმწიფო შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამოსასწორებლად ჯამში გაცემულია 296 რეკომენდაცია. მათი შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია მე - 14 დიაგრამაზე.

დიაგრამა 14. სახელმწიფო შესყიდვების მართვა (%)




■ შესრულდა ■ არ შესრულდა
■ მიმდინარე ■ რეაგირების გარეშე

შესყიდვების მართვაში არსებული სისტემური ხარვეზების გამოსასწორებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს განისაზღვროს პროცედურები და რეგულაციები შემდეგი მიმართულებებით:

- ▶ შემსყიდველებმა განსაზღვრონ შესასყიდი საქონლისა თუ მომსახურების საჭიროება და რაოდენობა;
- ▶ შესყიდვების სააგენტომ განსაზღვროს ბაზრის კვლევის პრინციპები ბაზრის კვლევის მიზნის (ვადა, ფასი, ხარისხი) განსაზღვრისთვის;
- ▶ შემსყიდველებმა განსაზღვრონ შესყიდვის ხარჯების ანაზღაურების პროცედურა, რაც გამოირიცხავს ავანსების სახით ხარჯების ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს დასაბუთების გარეშე;
- ▶ შემსყიდველებმა და შესყიდვების სააგენტომ შემუშაონ შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობის დასაბუთების პროცედურა და ჩარჩო დოკუმენტი.

აქტივების მართვა

აქტივების მართვის მიმართულებით, სულ გაცემულია 180 რეკომენდაცია. გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია მე - 15 დიაგრამაზე.



ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაციები მოიცავდა ისეთ დარღვევებს, როგორებიცაა, ქონების არასათანადო აღრიცხვა, საწარმოების მართვის ნაკლოვანებები და მუნიციპალიტეტების ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები. შესაბამისად, აქტივების მართვის მიმართულებით აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

ქონების აღრიცხვა:

- ▶ ფინანსთა სამინისტრომ განსაზღვროს არაფინანსური აქტივების გადაფასების მიდგომა, რათა ქვეყნის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ციფრები შეესაბამებოდეს აქტივების საბაზრო ღირებულებას;
- ▶ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს ჩართულობით გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები ორგანიზაციების ბალანსზე არსებული და ექსპლუატაციაში მყოფი ქონების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად.

საწარმოთა მართვა:

- ▶ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არ ასრულებს კოორდინაციისა და ზედამხედველობის ფუნქციას, რადგან ამისათვის აუცილებელია, ფლობდეს მართვის უფლებით გადაცემული საწარმოების თაობაზე სრულ ინფორმაციას; სააგენტოს კი, აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემა მხოლოდ მის სფეროში შემავალი საწარმოების მიმართ გააჩნია. სააგენტომ აქტიურად უნდა გაუწიოს კოორდინაცია სამინისტროებზე მართვის უფლებით გადაცემულ საწარმოებს და აქტიურად განახორციელოს სახელმწიფოს, როგორც პარტნიორის უფლებამოსილება (საწარმოს მომგებიანობის შეფასება, საწარმოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი განვითარების გეგმების დამტკიცება, სისტემაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიება) და არ უნდა მოხდეს ყველა უფლებამოსილების სამინისტროებზე დელეგირება;
- ▶ განისაზღვროს სახელმწიფო საწარმოების დაფუძნების კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით, ასევე მოხდება ქვეყნისათვის უკვე არსებული

მნიშვნელოვანი საწარმოების სახელმწიფო მმართველობის ქვეშ შენარჩუნება;


- ▶ განხორციელდეს საწარმოების სრულყოფილი აღრიცხვა და შეიქმნას საწარმოების სრული ბაზა;
- ▶ გაუმჯობესდეს ბიუჯეტში მისამართი შემოსავლების გეგმის განსაზღვრის პროცედურები და დაინერგოს დივიდენდების მობილიზების ქმედითი მექანიზმები;
- ▶ შემუშავდეს რეგულაცია, რომელიც დაარეგულირებს სახელმწიფო საწარმოებში მენეჯმენტის ანაზღაურების საკითხს.

მუნიციპალიტეტების ქონების განკარგვა:

- ▶ შემუშავდეს სტრატეგია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, განკარგვისა და სათანადო კონტროლის მექანიზმების დანერგვის შესახებ.

საბიუჯეტო რესურსების მართვა

საბიუჯეტო რესურსების მართვის მიმართულებით გაცემულია 205 რეკომენდაცია. მათი შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ მე-16 დიაგრამაზე:




რეკომენდაციების დიდი ნაწილი ხაზს უსვამდა ისეთ ხარვეზებს, როგორებიცაა, საბიუჯეტო ასიგნებების არათანაბარზომიერი ხარჯვა, დაგეგმვაში არსებული ნაკლოვანებები და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი განკარგვა.

ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების ადრესატია საქართველოს მთავრობა და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ▶ ეტაპობრივად შემუშავდეს დეტალური სამოქმედო გეგმები და გეგმა-გრაფიკები, რომლებიც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში ბიუჯეტის თანაბარპროპორციულ ათვისებას;
- ▶ გაძლიერდეს წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების მონიტორინგის მექანიზმი, რათა სამინისტროებმა უზრუნველყონ სამოქმედო გეგმების დროული შესრულება.

აღრიცხვა-ანგარიშგება

აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით გაცემულია სულ 396 რეკომენდაცია. მათი შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია მე-17 დიაგრამაზე:



გაცემული რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პრობლემა ეხება დებიტორ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის საკითხს. შესაბამისად, აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ აუცილებელია შემდეგის გათვალისწინება:

- ▶ დაკონკრეტდეს რა შემთხვევაში და რა ვადით უნდა მოხდეს ვალდებულებების ჩამოწერა და საცნობარო მუხლებში გადატანა;
- ▶ განისაზღვროს და დაკანონდეს დებიტორული და კრედიტორული ნაშთების შეფასების კრიტერიუმები;
- ▶ განისაზღვროს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ხანდაზმულობის ვადა (მაქსიმუმ - 10 წელი), რომლებზეც მოითხოვება ინვენტარიზაცია.

3.3 კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებთან

აუდიტების ფარგლებში ხშირად ვლინდება ისეთი დარღვევები, რომლებიც შესაძლოა შეიცავ-

დეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. ვინაიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ გააჩნია ასეთი ტიპის დარღვევების გამოძიების უფლებამოსილება, აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი კონკრეტული საკითხები გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს დეტალური განხილვისთვის. შესაბამისად, აუდიტის სამსახურისთვის არსებითად მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო და ეფექტური კომუნიკაცია, როგორც რისკის შემცველი ანგარიშების გადაგზავნის, ასევე გადაგზავნილ საკითხებზე რეაგირების სტატუსების მუდმივი მონიტორინგის კუთხით.

2017 წელს სამართალდამცავ ორგანოებში გადაიგზავნა 11, ხოლო 2018 წლის პირველ კვარტალში - 24 აუდიტის შესაბამისი მასალა. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ საგამოძიებო პროცედურები დაიწყო ყველა ანგარიშთან დაკავშირებით (დანართი N3).

4

ურთიერთობა ძირითად პერტნიორებთან



4.1 თანამშრომლობა პარლამენტთან

საქართველოს პარლამენტი აუდიტის სამსახურის მთავარი პარტნიორი და აუდიტის დასკვნებისა და რეკომენდაციების ძირითადი მომხმარებელია. პარლამენტთან და მის კომიტეტებთან დი-ალოგის გაძლიერება სამსახურის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება.

უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამსახურისა და პარლამენტის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაში. კერძოდ, გაძლიერებული თანამშრომლობის მაგალითია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ფარგლებში შექმნილი აუდიტის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს და აანალიზებს კონკრეტული აუდიტის შედეგებს და ახორციელებს შესაბამის კომუნიკაციას აუდიტის ობიექტებთან. 2018 წლის დასაწყისიდან ანგარიშების განხილვა ხორციელდება ყოველთვიურ რეჟიმში.

2017 წლისა და 2018 წლის მაისის მდგომარეობით, აუდიტის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და ასევე პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტის ჩართულობით, სულ განხილულია 11 აუდიტის ანგარიში:

1. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტი.
2. საარსებო შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი ბენეფიციარების სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებულების შემცირების ეფექტიანობის აუდიტი.
3. მასობრივი სპორტის განვითარების ეფექტიანობის აუდიტი.
4. ინკლუზიური სწავლების ეფექტიანობის აუდიტი.
5. საირიგაციო სისტემის მართვა - შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი.

6. ქ. თბილისის მასშტაბით ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი.

7. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემა - შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი.

8. თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი.

9. თავდაცვის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი.

10. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი.

11. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი.

გასულ წელს ასევე აღსანიშნავია GIZ-ის მხარდაჭერა:

► პარლამენტისა და აუდიტის სამსახურის თანამშრომლები სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, სამოქმედო ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შეხვდნენ გერმანიისა და შვედეთის პარლამენტარებსა და აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებს.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსთან ეფექტიანი თანამშრომლობით სამსახური გეგმავს აუდიტის რეკომენდაციების შესრულების დაბალი მაჩვენებლის გაუმჯობესებას. კერძოდ, ახალი სტრატეგიის მიხედვით, სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი პარლამენტთან აუდიტის მნიშვნელოვანი რეკომენდაციების პერიოდული განხილვა და საჭარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული პრობლემური საკითხების გაუმჯობესება იქნება.

4.2 მოქალაქეთა ჩართულობა და ბიუჯეტის მონიტორი

სამსახური სხვადასხვა ინოვაციური მეთოდისა და ინსტრუმენტის მეშვეობით გეგმავს მოქალაქეების, არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას.

საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიისა და „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში აღებული ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად და უკეთესი მმართველობის ხელშეწყობის მიზნით, სამსახურმა:



მოაგზადა
მოქალაქეთა
ჩართულობის სტრატეგია



შეამნა საჯარო ფინანსების მართვის
ზედამხედველობაში მოქალაქეთა
ჩართულობის საკითხებზე მომხმარებელთა
საკონსულტაციო ჯგუფი



დენარმა ინოვაციური
პოლიტიკური
ვებპლატფორმა - ბიუჯეტის მონიტორი



დაგეგმა 2018 წლის
ეკონომიკის პოლიტიკის
პროგნოზი

ბიუჯეტის მონიტორი 2017 წლის მარტში ამოქმედდა და წარედგინა საქართველოს პარლამენტს. პორტალისა და მნიშვნელოვანი აუდიტის შედეგების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, სამსახურმა გამართა 13 საჯარო განხილვა, მათ შორის, 6 შეხვედრა - ზუგდიდში, თელავში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში.

ბიუჯეტის მონიტორი წარედგინათ მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, სტუდენტებს, ასევე საერთაშორისო საზოგადოებას სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და კონფერენციებზე.


ბიუჯეტის მონიტორის ადგილობრივი და საერთაშორისო აღიარება

გასულ წელს ბიუჯეტის მონიტორმა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება და დადებითი შეფასებები დაიმსახურა. მან წარმატება მოიპოვა საერთაშორისო კონკურსებში.

„საქართველოში მოქალაქეებს აქტიურად მოუწოდებენ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წლიური აუდიტის დაგეგმვაში, ახალი ბიუჯეტის მონიტორის პლატფორმის გამოყენებით, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შექმნა, ხმა მისცენ იმ სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებს, რაც მათ ყველაზე მეტად აწუხებთ, მათ შორის, საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურულ და ჯანდაცვის მიმართულებით.“ „გარდიანი“, 21 ივლისი, 2017.

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმმა (IRM) საქართველოს OGP-ის 2016-2017 პროგრესანგარიშში ქვეყნის ძირითად მიღწევებს შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ახალი ვებპორტალის დანერგვა დაასახელა. ბიუჯეტის მონიტორი IRM-ის კრიტერიუმების მიხედვით, სამ ე.წ. „ვარსკვლავურ“ ვალდებულებას შორის მოხვდა. დაინტერესებული მხარეებისა და მკვლევართა შეფასებით, ვებპლატფორმა OGP-ის სანიმუშო ვალდებულებაა, რადგან ის OGP-ის ოთხივე ღირებულებას შეესაბამება.

ბიუჯეტის მონიტორინგის ჯილდოები



იმისათვის, რომ პორტალმა არ დაკარგოს აქტუალობა და სრულად შეესაბამებოდეს მომხმარებლების მოთხოვნებს, აუდიტის სამსახური 2018 წელს გეგმავს დონორების ხელშეწყობით ბიუჯეტის მონიტორინგის მომხმარებელთა კვლევას და პორტალის შესაძლებლობების გაფართოებასა და დახვეწას.


4.3 საერთაშორისო თანამშრომლობა

სამსახური არის უმაღლესი აუდიტორული უწყებების საერთაშორისო ორგანიზაციისა (INTOSAI) და მისი რეგიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) წევრი. INTOSAI, EUROSAI და ASOSAI წარმოადგენენ ავტონომიურ, დამოუკიდებელ და

აპოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო აუდიტის მიმართულებით დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონულ დონეზე.

ბოლო წლების განმავლობაში წარმატებით განხორციელდა დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით ჩატარებული მნიშვნელოვანი პროექტები⁴, რომელთა ფარგლებში, გაძლიერდა სამსახურის როგორც აუდიტორული, ასევე არააუდიტორული საქმიანობის მიმართულებები. აუდიტის სამსახური გასულ წელს აქტიურად თანამშრომლობდა პარტნიორ უმაღლეს აუდიტორულ და დონორ ორგანიზაციებთანაც:

4 მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი - „აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა“ და „IT აუდიტის განვითარება“, ასევე ევროკავშირის „დამშობილების“ (TWINNING) ორწლიანი პროგრამა.



გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

სამსახური წარმატებით აგრძელებს მრავალწლიან თანამშრომლობას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ორი ძირითადი მიმართულებით:

- ▶ პარლამენტთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება;
- ▶ აუდიტის სამსახურის შიდაორგანიზაციული განვითარება, მათ შორის, ეფექტიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების აუდიტების გაძლიერება.

GIZ-ის დახმარებით:

- ▶ სამსახურში ექსპერტის რანგში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა სლოვენიის აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, რომლის ჩართულობით მომზადდა 15 ეფექტიანობის აუდიტი.
- ▶ გაიმართა არაერთი აქტივობა ეფექტიანობის აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით.

ევროკავშირი

ევროკავშირი აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო უწყებების და მათ შორის, აუდიტის სამსახურის ინსტიტუციურ გაძლიერებაში. გასულ წელს, ევროკავშირის მხარდაჭერით დაიწყო ტექნიკური დახმარების პროექტი - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“. პროექტი მოიცავს შემდეგ თემატურ კომპონენტებს:

- ▶ აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის გაძლიერება უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტების და მეხიკოს დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად;
- ▶ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების გაძლიერება;
- ▶ ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობების განვითარება, IT აუდიტისა და აუდიტის მართვის პროგრამის გაძლიერება;
- ▶ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და პარლამენტის ხელშეწყობა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის განხორციელებაში.

გარდა ამისა, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. გასულ წელს სამსახურმა წარადგინა ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების 2017 წლის შესრულების 4 კვარტალური ანგარიში და 2018 წლის სამოქმედო გეგმა.

შვედეთის ეროვნული აუდიტის სამსახური (SNAO)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2010 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს SNAO-სთან. 2017 წელს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, ეფექტიანობის აუდიტების ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

- ▶ შვედი ექსპერტების 6 ვიზიტი ეფექტიანობის აუდიტის მიმართულებით ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად;

- ▶ შვედი ექსპერტების მიერ გამართული მენეჯერული უნარებისა და ტრენერთა შესაძლებლობების გაძლიერების 3 ტრენინგი.

პოლონეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისი (NIK)

სამსახურსა და NIK-ს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, 2017 წელს გაიმართა რამდენიმე ორმხრივი სამუშაო შეხვედრა ცოდნისა და სანიმუშო პრაქტიკის გაზიარების მიზნით:

- ▶ EUROSAI-ის საბჭოს 48-ე შეხვედრის გადამწვეტილებით, NIK კოორდინაციას გაუწევს მეორე სტრატეგიული მიზნის განხორციელებას - „უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა და ხელშეწყობა“. აღსანიშნავია, რომ NIK-ის მომართვის საფუძველზე, სამსახური აქტიურად იქნება ჩართული აღნიშნული მიზნის განხორციელების საკითხებში.

- ▶ NIK-ის მიწვევით აუდიტის სამსახური ჩაერთო ჰაერის ხარისხის კონტროლის ერთობლივი აუდიტის პროცესში და შესაბამისად, სამსახურის წარმომადგენელი დაესწრო ერთობლივი აუდიტის სამუშაო შეხვედრას.

4.4 ჩართულობა მნიშვნელოვან საქართველოსო ღონისძიებებში

აუდიტის სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობენ არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტში, სემინარსა თუ ფორუმში. გასულ წელს სამსახური ჩართული იყო შემდეგ პროფესიულ ღონისძიებებში:

(i) INTOSAI IDI-ის პროექტის ფარგლებში უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ინსტრუმენტის სრულყოფასა და ფინანსური აუდიტის ახალი სახელმძღვანელოს შემუშავებაში.

შეხვედრის მიზანი იყო, უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ინსტრუმენტის (iCAT ვერსია 3.0) სრულყოფა და ფინანსური აუდიტის ახალი სახელმძღვანელოს შემუშავება. აღნიშნულ ღონისძიებაში აუდიტის სამსახური წარმოდგენილი იყო, როგორც INTOSAI-ის ექსპერტი.

(ii) IDI-ის „აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის“ სემინარის მასპინძლობა

IDI-ისა და აუდიტის სამსახურის პარტნიორობით კავკასიაში პირველად ჩატარდა IDI-ის მიერ ორგანიზებული „აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის“ სემინარი. სემინარი მიზნად ისახავდა აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის გაუმჯობესებასა და თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებში. სემინარში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 30-მდე ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების 60-მდე წარმომადგენელმა.

(iii) კორუფციასთან ბრძოლის გლობალური პროგრამა 2015-2020

აუდიტორული ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, IDI ახორციელებს საერთაშორისო პროექტს - „კორუფციასთან ბრძოლის გლობალური პროგრამა 2015-2020“, რომელიც INTOSAI-ს წევრ ქვეყნებში ანტიკორუფციული გარემოს შეფასების მიმართულებით ერთობლივი

ეფექტიანობის აუდიტის ჩატარებას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში, აუდიტის სამსახურის აუდიტორებმა წარმატებით გაიარეს IDI-ს მიერ ორგანიზებული 5-კვირიანი ელექტრონული კურსი, რომლის ფარგლებშიც მათ დეტალურად შეისწავლეს ანტიკორუფციული გარემოს შეფასების მიზნით განხორციელებული აუდიტის წინასწარი შესწავლის პროცედურები.

(iv) სემინარი „საჯარო უწყებების გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების შეფასებასთან“ დაკავშირებით

აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს უნგრეთის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამართულ საჯარო უწყებების გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების შეფასებასთან დაკავშირებით გამართულ სემინარში. სემინარის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული უნგრეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კითხვარი, რომლის მეშვეობითაც უწყება ახდენს საჯარო სექტორის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების შეფასებას.

(v) სამსახურის წვლილი სახელმწიფო ვალის მართვის აუდიტის პროგრამაში (ALBF)

IDI-ის ორგანიზებით გამართული სახელმწიფო ვალის მართვის აუდიტის პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ვალის მართვის აუდიტის სახელმძღვანელოს განახლება. სამსახურის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახელმძღვანელოს განახლებული ვერსიის შემუშავებაში და მათი ჩართულობა პროგრამაში ორგანიზატორების მხრიდან დადებითად შეფასდა.

(vi) აშშ-ის საანგარიშგებო პალატის ტრენინგ კურსი ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტორებისათვის

აუდიტის სამსახურმა უმასპინძლა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის აუდიტის სასწავლო ცენტრის (U.S.



Government Accountability Office – Center For Audit Excellence) ექსპერტებს, რომლებმაც სამსახურის თანამშრომლებს, გაუზიარეს თავიანთი მრავალწლიანი გამოცდილება ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის მიმართულებით.

(vii) მონაწილეობა INTOSAI-ის IT აუდიტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში

სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს INTOSAI-ის IT აუდიტის სამუშაო ჯგუფის (WGITA) მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, რომელიც მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორებიცაა: ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების აუდიტის სტანდარტის ISSAI-5300 განახლება და განვითარება, IT აუდიტის ელექ-

ტრონული სახელმძღვანელოს კონცეფციის განხილვა, IT ტექნიკების გამოყენებით ვიზუალიზაციის მეთოდის გამოყენება აუდიტში, კიბერუსაფრთხოების დაცვა, დიდი მონაცემების (Big data) დამუშავების ტექნიკები.

აღსანიშნავია, რომ საქართველო მონაწილეობს 2017-2019 წლების WGITA-ს სამოქმედო გეგმით დამტკიცებულ 2 პროექტში:

- ▶ მონაცემთა ანალიზი (IT აუდიტის ტექნიკები);
- ▶ დოკუმენტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები IT აუდიტში.

5

პოლიტიკური პარტიების
დეფინანსების
გემჭვირვალობისა და
ენგერიშვალდეგულების
ხელშეწყობა



2017 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისა და წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი, რომელმაც მოიცვა 1 ივნისიდან 19 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები

2017 წლის არჩევნებში დარეგისტრირდა 300-ზე მეტი საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი, საიდანაც კანდიდატურების მოხსნის შემდგომ, არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობდა 22 პოლიტიკური პარტია, 5 საარჩევნო ბლოკი და 199 საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი კანდიდატებიდან 10 იყო მერობის, ხოლო 189 საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. არჩევნების მეორე ტურში (6 ოქტომბერს) მონაწილეობდა 2 პოლიტიკური პარტია, 2 საარჩევნო ბლოკი და 2 დამოუკიდებელი კანდიდატი.

წლიური დეკლარაციების წარმოდგენლობის გამო 2017 წელს წარმოებული საქმეები

2016 წლის წლიური დეკლარაციების წარმოდგენლობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შედგა 6 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წინააღმდეგ, მათ შორის 5.0 ათასი ლარის სანქცია დაეკისრა 1 პარტიას (დანართი N4).

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის არჩევნები

არჩევნების პერიოდში გამოვლენილი საკითხების შესახებ სამსახურმა 7 სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ, 128 ოქმი დამოუკიდებელი კანდიდატების წინააღმდეგ, ხოლო 2 ოქმი შემომწირველი იურიდიული პირების წინააღმდეგ. უფრო კონკრეტულად, 2 პარტიას, 10 დამოუკიდებელ კანდიდატსა და 2 იურიდიულ პირს სულ დაეკისრა 6.1 ათასი ლარის ფულადი სანქცია (დანართი N4).

ელექტრონული დეკლარირების სისტემის დანერგვა

მონიტორინგის დეპარტამენტისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა და კონსულტაციები ელექტრონული პროგრამების დანერგვისა და გამოყენების თემასთან დაკავშირებით. შეხვედრა განხორციელდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და დემოკრატიისა და საარჩევნო

სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ერთობლივი ორგანიზებით.

ელექტრონული პროგრამების განვითარების საკითხთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ევროსაბჭოსა და დემოკრატიისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენლებთან.

2016 წელს ევროსაბჭოდან მიღებული 26.0 ათასი ევროს გრანტის საშუალებით მომზადდა სამსახურის ახალი ვებგვერდი და დაინერგა დეკლარირების პროგრამა, რომელიც 2017 წლის თებერვლიდან გაიხსნა წლიური დეკლარაციების მისაღებადაც. აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულ იქნა 22 იანვარს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან განხორციელებული კონსულტაციების შედეგები, დეკლარირების პროცესის გამარტივებისა და პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მიღწევის მიზნით.

მეორე რეგიონული კონფერენცია - „ფული პოლიტიკაში“

სამსახურის ინიციატივით თბილისში ჩატარდა მეორე რეგიონული კონფერენცია - „ფული პოლიტიკაში“. კონფერენციის თანაორგანიზატორები იყვნენ ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ევროპის საბჭო (CoE), დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი (International IDEA), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და ნიდერლანდების მულტიპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD). კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 2018 წელს იგეგმება:


- ▶ საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგი;
- ▶ პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მიზნების მიღწევის კუთხით არსებული რეგულაციებისა და მეთოდოლოგიის გაუმჯობესების საკითხზე არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა;
- ▶ თანამშრომლების გადამზადება და სხვადასხვა მიმართულების ტრენინგების ორგანიზება.

6

ფინანსები

FINANCES

სამსახურის ბიუჯეტი 2017 წლისთვის განისაზღვრა 14.52 მლნ ლარის ოდენობით, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის⁵ 0.12%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის⁶ - 0.04%-ს შეადგენს. ფაქტობრივად განეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 13.74 მლნ ლარი. სამსახურის მთლიანი ბიუჯეტის 95%-ს შრომის ანაზღაურება⁷ წარმოადგენს.



და ვირტუალური სერვერების, ვებ და მონაცემთა ბაზების სერვერების, აპლიკაციების, პორტების ფუნქციონირების, გამტარობის, დატვირთვისა და უტილიზაციის ცენტრალიზებული ანალიზის, დი-აგნოსტიკისა და მონიტორინგის სისტემა;

► ადმინისტრაციულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემა;

► კომპიუტერული პროგრამებისა და მათი განახლებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 9.9 ათასი ლარი.

კვალიფიციური თანამშრომლების შენარჩუნებისა და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, 2018 წელს იგეგმება:

► სახელფასო პოლიტიკის გადახედვა და ბაზარზე არსებულ კონკურენტულ განაკვეთებთან ეტაპობრივი და გეგმაზომიერი მიახლოება;

სამუშაო პროცესის პროდუქტიულობისა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, გასულ წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა:

► ქსელური და სერვერული მოწყობილობების მართვისა და მონიტორინგის მიზნით შეისყიდა (1) უსაფრთხოების ინფორმაციისა და ინციდენტების მართვის სისტემა და (2) კომპიუტერული ქსელის, მასში ჩართული მოწყობილობების, ფიზიკური

► თანამშრომლებისთვის სადაზღვევო პაკეტის გაუმჯობესება;

► მაღალი სენსიტიურობის ინფორმაციული ბაზების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

► კიბერთავდასხმების საფრთხის შესამცირებლად ავტორიზებული პროგრამული უზრუნველყოფების შეძენა.

5 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი: <https://mof.ge/images/File/biujeti%2022.03.2018/TAVI%20VI%2022.03.2018.pdf>

6 მთლიანი შიდა პროდუქტი 2017 წელს: http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

7 შრომის ანაზღაურება მოიცავს შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურებას სოციალური დახმარების ჩათვლით

დენერტიზი



დანართი N1. ეფექტიანობის აუდიტის მაგალითები

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემა - შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი


გასულ წელს ჩატარებულ შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში, სამსახურმა განმეორებით შეისწავლა აღნიშნული საკითხები და შეაფასა, რამდენად გამართულია პაციენტების ჰოსპიტალიზაციის სისტემა.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

ფაქტი: არ არსებობს თანამედროვე სისტემური მიდგომა გამოძახებაზე რეაგირებისას პაციენტის მდგომარეობის სიმძიმის გასათვალისწინებლად;

მიზეზი: „112-ში“ ზარების შემოსვლისას პრიორიტეტების განსაზღვრისას (სიმძიმის მიხედვით ზარების დახარისხება) არსებობს ნაკლოვანებები, შესაბამისად, არასრულად მუშაობს პრიორიტეტების განსაზღვრის სისტემა;

რეკომენდაცია: გაუმჯობესდეს „112-ში“ პრიორიტეტების განსაზღვრის სისტემა (დაინერგოს სპეციალური პროგრამა).



ფაქტი: თბილისთან მდებარე სოფლებს მცხეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა ემსახურება;

მიზეზი: სოფლები - მუხათწყარო და წოდორეთი თბილისთან უფრო ახლოს მდებარეობს, თუმცა იმის გამო, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, ამ სოფლებს მცხეთის ბრიგადა ემსახურება, რომელსაც ორჯერ მეტი დრო და თბილისის გავლა სჭირდება ადგილზე მისასვლელად;

რეკომენდაცია: ტერიტორიული ერთეულები, სადაც თბილისიდან უფრო სწრაფი რეაგირების განხორციელება შეიძლება, მიეკუთვნოს თბილისის სამედიცინო დახმარების ცენტრს.


საირიგაციო სისტემის მართვა - შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი

2014 წელს აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საირიგაციო სისტემების მართვის ეფექტიანობის აუდიტი. აუდიტის ობიექტს წარმოადგენდა შპს „საქართველოს მელიორაცია“ (შემდგომში - კომპანია). აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა საირიგაციო მომსახურების ხარისხის ზრდას, წყლის პროდუქტიულ განაწილებას, დარგის სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბების ხელშეწყობასა და საირიგაციო სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფას. 2016-2017 წლების შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში, სამსახურმა განმეორებით შეისწავლა რამდენიმე საკითხი.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

ფაქტი: ირწყვება რეაბილიტირებული სისტემის მხოლოდ მესამედი.

მიზეზი: არ არსებობს წყლის გამანაწილებელი (ჩამკვეტი) ფარები და წყლის განაწილების გრაფიკი.




რეკომენდაცია: დარეგულირდეს წყლის რესურსის თანაბარი განაწილება გრაფიკის და ჩამცვტი ფარების მეშვეობით.

შედეგი: კონსერვატიული გათვლებით, აღნიშნულ ხრამარხის უბანზე შესაძლებელია მინიმუმ 1 (ერთი) მლნ ლარით მეტი ღირებულების მოსავლის მიღება.

საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებები

საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა 1,000,000 მოსახლეზე მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს.

დიაგრამა 20. ფატალური შემთხვევების მაჩვენებელი 1,000,000 მოსახლეზე (OECD)



აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

ფაქტი: საქართველო ავტოსაგზაო შემთხვევების სას ყველაზე მაღალი ფატალური შედეგების მქონე ქვეყანაა ევროპაში.

მიზეზი: მაგალითად, არ ხდება ე.წ. „შავი წერტილების“ (ადგილები, სადაც ყველაზე ხშირია შეჯახებები) გამოვლენა, შესაბამისი მიზანმიმართული საპასუხო პოლიტიკის განსაზღვრა და სხვა პასუხისმგებელ უწყებებთან (მაგალითად, მუნიციპალიტეტი, ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო) ინფორმაციის ეფექტიანი და დროული კომუნიკაცია.

რეკომენდაცია: მოხდეს ინფორმაციის აღრიცხვა, ავტოსაგზაო შემთხვევების ზუსტი ლოკაციების დადგენა, ე.წ. „შავი წერტილების“ რუკის შედგენა და მათზე დროული რეაგირება (მაგალითად, საგზაო ნიშნების დაყენება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება).

კმ	შემთხვევა	დაშავებული	დაღუპული
28	17	32	5
50	15	31	3
27	15	27	2
24	15	10	9

ინკლუზიური სწავლება - ეფექტიანობის აუდიტი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) მოსწავლეების სასკოლო პროცესში სრულფასოვანი ინტეგრირება ინკლუზიური განათლების მთავარ მიზანს და სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მოცემული მიზნის მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამას“.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა:

ფაქტი: 2016 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში 624 საჯარო სკოლაში მოწყობილია პანდუსი, რისთვისაც საშუალოდ გაიხარჯა 190.8 ათასი ლარი;

26 საჯარო სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, რაზეც საშუალოდ მიიმართა 1.09 მლნ ლარი; 440 საჯარო სკოლაში ადაპტირებულია სანიტარული კვანძები, რაც დაახლოებით 1.15 მლნ ლარს ითვალისწინებდა. სულ სამივე კომპონენტის მოწყობაზე სხვადასხვა სკოლაში გაიხარჯა დაახლოებით, 2.44 მლნ ლარი.

მიზეზი: კონტროლის მექანიზმის არარსებობა, რომლის მეშვეობითაც სსსმ მოსწავლის სწავლების მიზნით, სკოლისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფამდე უნდა ფასდებოდეს, რამდენად ადაპტირებულია ინფრასტრუქტურული გარემო და შესაძლებელია თუ არა სსსმ მოსწავლისთვის მოცემულ სკოლაში განათლების მიღება. ამასთანავე, იკვეთება სამმართველოსა და სააგენტოს შორის სკოლების რეაბილიტაციისას კოორდინაციის ნაკლებობის რისკები, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნებოდა სკოლებში ინკლუზიური სწავლების დანერგვის ხელშეწყობის მნიშვნელობა.

შედეგი: დახარჯული თანხების კონკრეტულ სკოლებზე მიმართვის შემთხვევაში, ნაცვლად სხვადასხვა სკოლაში ცალკეული კომპონენტის მოწყობისა, შესაძლებელი იქნებოდა 54 სკოლის ინფრასტრუქტურული გარემოს სრულად აღჭურვა.

რეკომენდაცია: განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის და სახსრების ეფექტიანად და პროდუქტიულად ხარჯვის მიზნით, მნიშვნელოვანია, სამინისტროს სამმართველოსა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ ერთობლივად შემუშავდეს სამოქმედო გეგმა და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რის მიხედვითაც სსსმ მოსწავლის ჩარიცხვამდე შეფასდება სკოლის გარემო, პრიორიტეტების მიხედვით მოხდება სკოლების შერჩევა და შესაბამისად, ეტაპობრივად მოხდება სკოლების სრული ადაპტაცია.

დანართი N2. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მეგალითები

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგები

აუდიტის სამსახურმა გააანალიზა გასული წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების მიგნებები და გამოკვეთა ისეთი სისტემური ხასიათის დარღვევები, რომლებიც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია. აღნიშნულის ფარგლებში, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

1. სახელმწიფო შესყიდვების მართვა

შესყიდვების მართვასა და პროცესთან დაკავშირებული ხარვეზები გულისხმობს მართვის ისეთ ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს უშლის საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ, პროდუქტიულ და ეფექტიან განკარგვას.

ამ მიმართულებით 2017 წელს გამოვლენილი ხარვეზები უკავშირდება შესყიდვების სხვადასხვა საფეხურს, კერძოდ:

• ბაზრის არასრულყოფილი კვლევა

ბაზრის არასრულყოფილი კვლევის შემთხვევების ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია სსიპ -საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2014-2015 წლებში განხორციელებული შესყიდვები. აუდიტმა მოიცვა ჯამში 188 ხელშეკრულება.

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი

ბაზრის კვლევის ეტაპზე არ განხორციელებულა კომპანიების შერჩევა შესყიდვის საგნის პარამეტრების, მახასიათებლების, სირთულის გათვალისწინებით. ასევე მოკვლევის დაწყების შესახებ განაცხადში არ იყო მითითებული შესასყიდი

ლაბორატორიული აღჭურვილობის თითოეული ელემენტის ტექნიკური პარამეტრები.

• ტენდერებში პრეტენდენტთა არასამართლიანი შერჩევა, შეფასება, დისკვალიფიკაცია

ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულია კონკურენციის შემზღუდავი პირობები, რაც იწვევს ტენდერების არაკონკურენტულ გარემოში წარმართვას. აღნიშნულის შედეგი შეიძლება იყოს დაბალი ხარისხით შესრულებული სამუშაოები, ზედმეტად გადახდილი საბიუჯეტო სახსრები და სხვ. რიგ შემთხვევებში, სატენდერო პროცედურები შეიცავს ისეთ ნაკლოვანებებს, როგორებიცაა, პრეტენდენტების არასამართლიანი დისკვალიფიკაცია, შერჩევა და შეფასება. მაგალითად:

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

ტენდერების საშუალებით შესყიდვების განხორციელებისას ცალკეულ შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციებში შესასყიდი საქონლის აღწერისას მითითებული იყო ისეთი სპეციფიკაციები, რომელთა სიდიდეების მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა ან საერთოდ საჭიროება აუცილებლობას არ წარმოადგენდა და აკმაყოფილებდა მხოლოდ კონკრეტული პრეტენდენტის პარამეტრებს. კერძოდ, პრეტენდენტების მიერ შეთავაზებული იყო ისეთი საქონელი, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები ზუსტად ემთხვეოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ასეთ პირობებში, ტენდერებში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, რითაც ავტომატურად გამოირიცხებოდა კონკურენცია და ფასის კლება.

თელავის მუნიციპალიტეტის შესაბამისობის აუდიტი და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი

2015 წელს თელავის მუნიციპალიტეტმა, სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის 2 ტენდერში, არასაკმარისი ანალოგიური სამუშაო გამოცდილების მოტივით, დისკვალიფიკაცია მიანიჭა კონკურენტებთან შედარებით



51.8 ათასი ლარით დაბალი სატენდერო ფასის მქონე პრეტენდენტს. მუნიციპალიტეტმა სატენდერო დოკუმენტაციით მოითხოვა 1 მლნ ლარის გამოცდილება, მაშინ როდესაც, შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 176.2 ათას და 99.7 ათას ლარს.

• დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯები

შესყიდვების ხარჯების ანაზღაურება და შესრულებული სამუშაოების სათანადო შეფასება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში. მაგალითად, ვლინდება შემთხვევები, როდესაც ხარჯები ანაზღაურებულია შესრულებული სამუშაოების დასაბუთების გარეშე ან ვერ დასტურდება საავანსო ანგარიშსწორებების მიზანშეწონილობა. მაგალითად:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის ფინანსური აუდიტი

ბათუმის მერიამ, ოთხი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. მიმწოდებელს ავანსად გადაერიცხა 1.62 მლნ ლარი, თუმცა არ გამოკვლეულა საავანსო ანგარიშსწორების მიზანშეწონილობა და არ შეფასებულა გარანტორი კომპანიის სანდოობა. მიმწოდებელმა კომპანიამ არ შეასრულა ვალდებულებები. გარემოებათა არაჯეროვანი გამოკვლევისა და რისკების შეუფასებლობის გამო, მუნიციპალიტეტს მიადგა არანაკლებ 1.43 მლნ ლარის ზიანი.

• არაეფექტიანი ხარჯები

ხშირია ისეთი დარღვევები, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტებში, როდესაც ვერ ხერხდება საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი აქტივების დანიშნულებისამებრ გამოყენება. ამგვარი შესყიდვები კლასიფიცირდება, როგორც არაეფექტიანი ხარჯები. მაგალითად:

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა 2015-2016 წლებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შეძენილი 556.9 ათა-

სი ლარის ღირებულების 69.6 ათასი კვ.მ თუნუქი გადასცა მოსახლეობას, რომელსაც თავიანთი ძალებით უნდა გამოეცვალათ და გადაეხურათ სახლების დაზიანებული სახურავები. გადაცემული მასალის ხარჯის მდგომარეობის შესწავლით გაირკვა, რომ დაზარალებული მოსახლეობის უმეტესობას - 283 ოჯახს, არ გამოუყენებია გადაცემული 404.3 ათასი ლარის 50.7 ათასი კვ.მ თუნუქი (72.6%) და სტიქიის შედეგები არ არის ლიკვიდირებული.

2. აქტივების მართვა

2017 წელს ჩატარებული აუდიტებით ირკვევა, რომ აქტივების მართვის კუთხით სახელმწიფო დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი საკითხები, როგორებიცაა, სანარმოთა არაეფექტიანი მართვა, ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები, არასრული ინვენტარიზაცია, გაუნაწილებელი დივიდენდები, ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები და სხვ.

• გაუნაწილებელი დივიდენდები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი

სანარმოთა 2015 წლის დივიდენდის განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, 2016 წელს არ განხორციელდა 1.81 მლნ ლარის დივიდენდის სახით ბიუჯეტში მობილიზება.

• ქონების იჯარით გაცემა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ბალანსზე 295.2 ათასი ლარის მოთხოვნები ირიცხება მოიჯარეების მიმართ, რომლებიც სისტემატურად არღვევდნენ დაკისრებულ ვალდებულებებს საიჯარო ქირის გადახდის ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იხდიდნენ საიჯარო გადასახდელებს, სამინისტ-

როს მიერ დროულად არ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები (პირგასამტეხლოს დაკისრება, ხელშეკრულებების გაუქმება და თანხის დაკავება შესაბამისი მომსახურების საფასურიდან), რამაც დავალიანებების დაგროვება გამოიწვია. აღნიშნული მოიჭარებებიდან, კომპანია „ნიგი 2009“, ჯამური დავალიანებით 93.9 ათასი ლარი, ლიკვიდირებულია.

• შემზღუდველი პირობები ქონების პრივატიზაციისას

2015-2016 წლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის შესაბამისობის აუდიტი

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიწის ფართები უმეტეს შემთხვევაში პრივატიზებისთვის გამოაქვს პირობით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“. გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში მუნიციპალიტეტი, მის საკუთრებაში არსებულ ერთ საკადასტრო ერთეულად რეგისტრირებულ მიწის ფართს ჰყოფს რამდენიმე საკადასტრო ერთეულად და შემდეგ, ერთ-ერთი გამოაქვს აუქციონზე შემზღუდავი პირობით. აუქციონების უმრავლესობა მიმდინარეობს უკონკურენტო გარემოში და პოტენციური მყიდველი ხდება მომიჯნავე ნაკვეთის მესაკუთრე.

• ქონების ინვენტარიზაციის ხარვეზები

ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც აუდიტის ობიექტებს არ გააჩნიათ სრულყოფილი ინფორმაცია მათ საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ან აქვთ არასრულყოფილი ინფორმაცია. აღნიშნული გამოწვეულია ქონების ინვენტარიზაციასთან დაკავშირებულ ხარვეზებთან. ასევე ვლინდება აქტივების არაპროდუქტიული გამოყენების შემთხვევებიც.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, 2016 წლის 1 ოქტომბერს დაწყებული ინვენტარიზაციები დადგენილ ვადებში ვერ დასრულდა და მათი შედეგები ბუღალტერული ანგარიშების საფუძველზე იქნა შედგენილი.

ში ვერ დასრულდა და მათი შედეგები ბუღალტერიას წარედგინა წლიური ფინანსური ანგარიშგების ჩაბარების ვადის (1 აპრილი) ამოწურვის შემდეგ. შესაბამისად, სამინისტროს წლიურ ანგარიშგებაში არ ასახულა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ზოგიერთ უწყებაში სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში, სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში 2016 წელს არ ჩატარებულა ძირითადი აქტივების სავალდებულო ინვენტარიზაცია.

3. საბიუჯეტო რესურსების მართვა

საბიუჯეტო რესურსების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები ხშირ შემთხვევაში მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე არსებულ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე. აღნიშნულ პრობლემას აქვს სისტემური ხასიათი, რაც გამოიხატება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების ხშირი გადანაწილებით, წინასწარ გასათვალისწინებელი ხარჯების სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებით, ბიუჯეტის არათანაბარზომიერი და კანონშეუსაბამო ხარჯვით.

• საბიუჯეტო რესურსების მართვის ხარვეზები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი

2016 წელს პროგრამებს, ქვეპროგრამებს, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კვარტლებს შორის ასიგნებების გადანაწილების საფუძველზე განხორციელდა ხარჯთაღრიცხვის 188 ცვლილება, თანხით - 135.22 მლნ ლარი.

2016 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა 8 უმაღლესი სასწავლებლის 14 პროექტი, ჯამური თანხით - 619.3 ათასი ლარი. სახსრები მიმართული იყო იმ ღონისძიებების და-



საფინანსებლად, რომლებიც სისტემატურ ხასიათს ატარებდა და არ წარმოადგენდა გაუთვალისწინებელ ხარჯს.

2015-2016 წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტების მიხედვით, დეკემბრის ბოლოს განეული ხარჯები 78%-ით აღემატება წინა თვეებში განეული ხარჯების საშუალო ოდენობას.

4. აღრიცხვა-ანგარიშგება

აღრიცხვა - ანგარიშგების კუთხით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს დებიტორ - კრედიტორული დავალიანებები, აქტივების აღრიცხვა და სხვ. მაგალითად:

• დებიტორ-კრედიტორული დავალიანებები

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ბალანსზე ირიცხება 17.33 მლნ ლარის დებიტორული დავალიანება, საიდანაც 2.83 მლნ ლარი, 2007-2009 წლებში, ყოველგვარი საგარანტიო დოკუმენტაციის გარეშე ავანსად გადარიცხული არარეზიდენტი იურიდიული პირების ანგარიშებზე, შესაბამისად, მისი ამოღების ალბათობა ძალიან მცირეა.

ბალანსზე ირიცხება 11.79 მლნ ლარის კრედიტორული დავალიანება, საიდანაც 11.14 მლნ ლარი 2005 წლამდეა წარმოშობილი, მათ შორის, 8.36 მლნ ლარი თანამშრომლებზე გაუცემელი ხელფასებია, ხოლო 2.78 მლნ ლარი სხვადასხვა კრედიტორზე ირიცხება, როგორც საქონლის, მომსახურების და არაფინანსური აქტივების მიწოდებით წარმოშობილი დავალიანება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ბალანსზე არ არის აღრიცხული „რეფერალური მომსახურებისა“ და „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, სამედიცინო დაწესებულებების მიერ განეული მომსახურების საუძველზე წარ-

მოშობილი კრედიტორული დავალიანება, სულ 8.97 მლნ ლარი. აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შედეგად აღნიშნული ხარვეზი ნაწილობრივ გამოსწორდა.

• აქტივების აღრიცხვის ხარვეზები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული 27.74 მლნ ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულება ცვეთის შედეგად ამორტიზებულია. აღნიშნული აქტივები უნდა ირიცხებოდეს ბალანსის საცნობარო მუხლზე, როგორც ამორტიზებული ძირითადი აქტივები.

5. საკადრო პოლიტიკა

სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი

მაუწყებლის 103 თანამშრომლის მიერ დარღვეულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც მათ ეკრძალებოდათ პარალელურად ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება სხვა მაუწყებელში.

სამეურვეო საბჭოს ყოფილ წევრს, რომელსაც უფლებამოსილების ვადა ჰქონდა შეწყვეტილი, 5 თვის განმავლობაში პონორარის სახით უსაფუძვლოდ მიღებული აქვს 12.8 ათასი ლარი.

დანართი N3. საქართველოს ორგანოებში 2017 წელს გადამგზავნილი ანგარიშების ჩამონათვალი

1	სს - საქართველოს რკინიგზის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
2	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტი
3	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
4	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - შემოსავლების სამსახურის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
5	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდის შესაბამისობის აუდიტი
6	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის - „თბილისი 2015-ის“ საორგანიზაციო კომიტეტის შესაბამისობის აუდიტი
7	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
8	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
9	2015-2016 წლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის შესაბამისობის აუდიტი
10	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით 2014-2015 წლებში განხორციელებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
11	„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ ქვეპროგრამის 2012-2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდის შესაბამისობის აუდიტი

დანართი N4. საქართველოს ოქმები პოლიტიკური პარტიებისა და საერო სუბიექტების წინააღმდეგ

N	პირის დასახელება	შინაარსი	სანქცია (ლარი)
1	პარტია „ცენტრისტები“	დეკლარაციების წარმოდგენლობა	5000 ლარი
2	„ჩვენი სამშობლო“	დეკლარაციების წარმოდგენლობა	შენიშვნა
3	„სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“	დეკლარაციების წარმოდგენლობა	შენიშვნა
4	ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი	დეკლარაციების წარმოდგენლობა	შენიშვნა
5	„მთლიანი საქართველო“	დეკლარაციების წარმოდგენლობა	შენიშვნა
6	„რეფორმატორები“	დეკლარაციების წარმოდგენლობა	შენიშვნა
7	პარტია „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“	ანგარიშის წარმოდგენლობა	2000 ლარი
8	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	ანგარიშის წარმოდგენლობა	2000 ლარი
9	მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“	ანგარიშის წარმოდგენლობა	შენიშვნა
10	პარტია „საქართველო“	ანგარიშის წარმოდგენლობა	შენიშვნა
11	მერაბ კოსტავას საზოგადოება	ანგარიშის წარმოდგენლობა	შენიშვნა
12	118 დამოუკიდებელი კანდიდატი	ანგარიშის წარმოდგენლობა	შენიშვნა
13	10 დამოუკიდებელი კანდიდატი	ანგარიშის წარმოდგენლობა	1000 ლარი
14	ა(ა)იპ - „თანასწორობა 17“	რესპუბლიკური პარტიისთვის აკრძალული შემოწირულება	500 ლარი
15	შპს „ულტრადენტი“	ეროვნული ფორუმისთვის აკრძალული შემოწირულება	600 ლარი

დანართი N5. 2017 წელს ჩატარებული აუდიტების სია

1	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
2	მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი
3	ადიგენის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
4	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
5	ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
6	გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
7	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
8	ახალციხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
9	ქარელის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
10	ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
11	ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
12	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
13	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
14	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
15	ვანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
16	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
17	ყვარლის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
18	გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
19	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური და 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
20	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
21	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის „გამწვანების ღონისძიებების პროგრამის“ ფარგლებში 2015-2016 წლებში განეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი
22	გესტაფონის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
23	დმანისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
24	თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
25	თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
26	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის 2015-2016 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი
27	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და სარეზერვო ფონდის საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის 2016 წლის შესაბამისობის აუდიტი
28	აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობებში (აღმოსავლეთ საქართველოში, სამეგრელო და ზემო სვანეთში, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ზემო აფხაზეთში) ფონდის საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის 2016 წლის შესაბამისობის აუდიტი

29	სსიპ - სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ - სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ „თეთრი ტალღის“, სსიპ - აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“, სსიპ - გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის - საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
30	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მიერ 2016 წელს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესაბამისობის აუდიტი
31	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
32	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
33	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
34	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
35	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
36	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში საცხოვრებელი ობიექტების მართვა-განკარგვა
37	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის ფინანსური აუდიტი
38	ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური აუდიტი
39	შუახევის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური აუდიტი
40	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
41	შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
42	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
43	სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის შესაბამისობის აუდიტი
44	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური აუდიტი
45	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო სამღვათ აკადემიის 2016 წლის შესაბამისობის აუდიტი
46	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
47	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
48	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
49	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
50	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის ფინანსური აუდიტი
51	ქ. თბილისის მასშტაბით ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი
52	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
53	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
54	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
55	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
56	საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი მაუწყებლის 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
57	შპს „მეფანიზატორის“ შესაბამისობის აუდიტი 2012, 2013 და 2014 წლების საანგარიშგებო პერიოდებისათვის
58	სექტორულ სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის ანგარიშვალდებულების წინაპირობების უზრუნველყოფა



59	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროს გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანობის აუდიტი
60	დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის მექანიზმები
61	საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებები
62	საირიგაციო სისტემის მართვა (შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი)
63	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და შრომის ანაზღაურების 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
64	სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საჯარო სერვისების განვითარების მიზნით საკუთარი შემოსავლების განკარგვის 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
65	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა
66	საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
67	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
68	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის 2016 წლის ფინანსური აუდიტი
69	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
70	ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის 2015, 2016 და 2017 წლის 9 თვის შესაბამისობის აუდიტი
71	საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
72	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და საოლქო საარჩევნო კომისიების 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
73	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის 2016 წლის ფინანსური აუდიტი
74	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
75	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
76	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სარეგერვო ფონდის ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი
77	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2016 წლის ფინანსური აუდიტი
78	საქართველოს პარლამენტის აპარატის 2016 წლის ფინანსური აუდიტი
79	ინკლუზიური სწავლების ეფექტიანობის აუდიტი
80	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
81	საქართველო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტი
82	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი
83	საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2014 - 2015 წლებში განხორციელებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი
84	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტი

